მარიკა ჯიქია
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველ მეცნიერთა წვლილი ავიცენას ნააზრევის შესწავლაში

აბსტრაქტი

უდიდესმა მოაზროვნემ – ავიცენამ – დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეებში მეცნიერებების განვითარებაზე როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში და კაცობრიობას უზარმაზარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაუტოვა. ისლამის რელიგიის ჩარჩოებში მან შეძლო ანტიკური ფილოსოფიისა და მეცნიერების კრიტიკულად ათვისება და თავისი დროის მთელი ცოდნის სისტემატიზაცია. წერილში წარმოვაჩენთ ქართველ მეცნიერთა წვლილს ავიცენას ნააზრევის შესწავლაში.

ცნობილმა სემიტოლოგმა ვლადიმერ ახვლედიანმა 1966 წელს გამოსცა ავიცე- ნას 1023 წელს შექმნილი ფონეტიკური ტრაქტატის არაბული ტექსტი, დაურთო მას რუსული თარგმანი და სანიმუშო გამოკვლევა.

ავიცენას კვლევები ე.წ. სუფთა წყობის შესახებ გახდა მუსიკათმცოდნე ბორის გულისაშვილის სადოქტორო დისერტაციის თემა. დიდი მოაზროვნის მიერ შექმნი-ლი კვინტური წყობა, რომელიც დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ხუთი საუკუნის შემ-დეგ ჩამოყალიბდა, მომდინარეობს შუა აზიიდან და მას საფუძველი ჩაეყარა სწორედ ავიცენას გამოკვლევებით.

აკად. გიორგი ჯიბლაძის ეგზოთერიკული ნარკვევში – „ავიცენას სისტემები“– გაანალიზებულია ავიცენას ფილოსოფიური, ესთეტიკური და მხატვრული მემკვიდრეობა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება XIV საუკუნეში გადაწერილი ავიცენას 160-გვერდიანი ხელნაწერი, რომელიც ინსტიტუტის თანამშრომელმა, სემიტოლოგმა ლიანა სამყურაშვილმა შეისწავლა და მისი აღწერილობა 1980 წელს დუშანბეში აბუ ალი იბნ სინასადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარადგინა.

მედიცინის ისტორიკოსმა ნანი ხელაიამ წყაროებზე დაყრდნობით გამოავლინა, რომ ავიცენას სახელი ქართულ სამედიცინო ძეგლებში პირველად გვხვდება თამარ მეფის ბრძანებით შექმნილ სააქიმო წიგნში.

საკვანძო სიტყვები: *ავიცენა ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ფონეტიკური ტრაქტატი, სუფთა (კვინტური) წყობა მუსიკაში, ფილოსოფიური სისტემები, სამედიცინო ხელნაწერები.*

უდიდესმა მოაზროვნემ აბუ ალი იბნ სინამ (980-1037) დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეებში მეცნიერებების განვითარებაზე როგორც აღმოსავლეთში, ასევე – დასავლეთში და კაცობრიობას უზარმაზარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაუტოვა. იბნ სინამ შეძლო ისლამის ჩარჩოებში ანტიკური ფილოსოფიისა და მეცნიერების კრიტიკულად ათვისება და თავისი დროის მთელი ცოდნის სისტემატიზაცია. იგი იყო ექიმი, მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი,

მუსიკათმცოდნე, მთარგმნელი... მისი ერთ-ერთი მთავარი შრომაა ფილოსოფიური ენციკლოპედია, რომელიც მოიცავს ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკას, ასტრონომიასა და მეტაფიზიკას. ჩვენამდე იბნ სინას პოეტურმა მემკვიდრეობამ ნაწილობრივ მოაღწია; იგი წერდა არაბულად და სპარსულად და ლექსებში გამოხატავდა საკუთარ ფილოსოფიურ შეხე-დულებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „სულის ყასიდა“. იბნ სინა ქადაგებდა მეცნიერებისა და განათლების სიკეთეს. ალეგორიული ხასიათისაა მისი ფილოსოფიურ-მხატვრული ნაწარმოებები „სალამანი და აბსალი“, „წერილი ჩიტებზე“ და „ცოცხალი, ძე ფხიზლისა“, რომელიც სიუჟეტურად დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ უახლოვდება. ავიცენა საინტერესოა აგრეთვე როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსი. მას ეკუთვნის არისტოტელეს „პოეტიკისა“ და არაბი პოეტის იბნ ალ-რუმის დივანის კომენტირებული მიმოხილვა.

წინამდებარე წერილში წარმოვაჩენთ ქართველ მეცნიერთა წვლილს ავიცენას ნააზრევის შესწავლაში.

გამოჩენილმა სემიტოლოგმა **ვლადიმერ ახვლედიანმა** 1966 წელს გამოაქვეყნა აბუ ალი იბნ სინას ფონეტიკური ტრაქტატის არაბული ტექსტი, დაურთო მას რუსული თარგმანი და სანიმუშო გამოკვლევა (Ахведиани 1966). ტრაქტატი სახელწოდებით „მეტყველების ბგერების ფორმირების მიზეზები“ დაიწერა ისპაჰანში იმ დროის ცნობილი ლინგვისტის აბუ მანსურის თხოვნით 1023 წელს. მონოგრაფიაში ქართველი ავტორი ასაბუთებს, რომ აბუ ალი იბნ სინას საქმიანობის ორგანული კომპონენტი ფონეტიკური ტრაქტატის შექმნისას ლოგიკურად გამომდინარეობს ადამიანის სხეულის სტრუქტურის ღრმა ცოდნიდან, რამაც განაპირობა თხზულებაში მეტყველების ორგანოების დეტალური აღწერა. ადამიანის ანატომიის ღრმა ცოდნამ იბნ სინას საშუალება მისცა, ზედმიწევნით დაეფიქსირებინა მეტყველების ორგანოთა ფუნქციები, ხოლო მუსიკაში განსწავლულობამ ხელი შეუწყო ბგერის წარმოქმნის, სმენის ორგანოების მიერ მისი აღქმისა და ტონის წარმოქმნის საკითხთა მართებულ გადაწყვეტაში. უცილოდ აღსანიშნავია, რომ ავიცენამ მოამზადა საფუძველი აკუსტიკური ფონეტიკის საკითხების განვითარებისათვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეხება ტონების ფორმირებას. იგი მსჯელობს სამეტყველო ბგერების გაჩენის მიზეზზე, ხორხისა და ენის ანატომიის შესახებ, არაბული ენის ცალკეულ ბგერებზე, სამეტყველო ბგერების წარმოთქმისას არასამეტყველო მოძრაობებზე და სხვ. ვლადიმერ ახვლედიანმა 1967 წელს აბუ ალი იბნ სინას ფონეტიკურ ტრაქტატზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მანვე ტაშკენტში 1981 წელს და ლენინგრადში 1982 წელს აღმოსავლური სამყაროს დიდი მეცნიერის დაბადებიდან 1000 წლის აღსანიშნავ ღონისძიებებზე წარადგინა მაღალრეიტინგული მოხსენებები (Ахведиани 1981, (Ахведиани 1982). ვლადიმერ ახვლედიანის საენათმეცნიერო და სემიტოლოგიური კომპეტენციის წყალობით იბნ სინას ათასწლოვანი ნააზრევი მსოფლიოს ლინგვისტური სამყაროსათვის გახდა ხელმისაწვდომი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართულ მუსიკათმცოდნეობით სივრცეში დიდი რეზონანსის გამოდგა ავიცენას ღვაწლის გაცნობიერება სამუსიკო თეორიული სისტემის შექმნაში. ტაშკენტსა და ალმათიში ჩატარებული 5-წლიანი კვლევების შედეგად მუსიკის თეორეტიკოსმა **ბორის გულისაშვილმა** დაადგინა, რომ ე.წ. სუფთა ანუ კვინტური წყობა ავიცენას შექმნილია, რაც დასავლეთ

ევროპაში მხოლოდ ხუთი საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა და განვითარდა იტალიელების – ლუდოვიკო ფოლიანისა და ჯოზეფო ცარლინოს – შრომებში. მას საფუძველი ჩაეყარა სწორედ ავიცენას გამოკვლევებით. ავიცენასეული სუფთა წყობა, ქართველი მეცნიერის და-კვირვებით, განსხვავდება შუა საუკუნეების ევროპული სუფთა წყობისაგან მთელი რიგი ძირითადი და შუალედური ინტერვალებით. ბორის გულისაშვილის სადოქტორო დისერტაცია სამუსიკო თეორიული სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით სწორედ ავიცენას ღვაწლს მიეძღვნა (გულისაშვილი, 1964). ამას გარდა, იბნ სინას „ტრაქტატი მუსიკაზე“ ძვირფას წყაროს წარმოადგენს შუა საუკუნეების სოციალურ ცხოვრებაში მუსიკალური ინსტრუმენტების ფუნქციებისა და როლის შესასწავლად. საგულისხმოა, რომ ბორის გულისაშვილი კონსულტაციას იღებდა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანისაგან.

ცნობილია, რომ ავიცენამ დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის მეცნიერებაში და მსოფლიოს წარუდგინა შემეცნების რაციონალური გზების კვლევა. მისი აზროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო სილოგიზმის კონცეფცია, რომელიც მან თავის სხვადასხვა ნაშრომში განავითარა. ავიცენას ფილოსოფიური ნააზრევი დღემდე უმნიშვნელოვანესია. აკად. **გიორგი ჯიბლაძის** ეგზოთერიკული ნარკვევი „ავიცენას სისტემები“(Джибладзе 1986) დიდი მეცნიერის ფილოსოფიურ თხზულებებს ეძღვნება. ავიცენამ ხელი შეუწყო მეცნიერული შეხედულებების გავრცელებას ფილოსოფიის სხვადასხვა სფეროში. მან წამოაყენა ფილოსოფიური ხედვები, სწავლებები და ღრმა სამეცნიერო იდეები, რომლებიც ხსნიან მატერიას, ფორმას, მოძრაობას, სივრცესა და დროს, გარემოში მიმდინარე მოვლენებს, სიცარიელეს, ობიექტების გაჩენისა და გაუჩინარების მიზეზებს, მოძრაობასა და ტრანსფორმაციებს. მეცნიერი აანალიზებს ავიცენას ფილოსოფიურ, ესთეტიკურსა და მხატვრულ მემკვიდრეობას. გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფიაში გაშუქებულია აღმოსავლური რენესანსის პრობლემები, ავიცენას წინამორბედთა ნააზრევი რამდენიმე საკითხზე და შემდგომი დროის ფილოსოფიური და ლიტერატურული პრაქტიკა – აი ამ ნაშრომისეულ საკითხთა არასრული ჩამონათვალი.

საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია იბნ სინას არაბული სამედიცინო შინაარსის ხელნაწერი – ArK-9,[1] რომელიც შეიცავს 160 ფურცელს და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIV საუკუნით არის დათარიღებული. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა სემიტოლოგმა **ლიანა სამყურაშვილმა** შეისწავლა ეს ხელნაწერი და 1980 წელს დუშანბეში იბნ სინას 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება მის შესახებ (Самкурашвили 1980:115-116). ხელნაწერი შეიცავს იბნ სინას ცნობილი სამედიცინო ხუთტომეული ენციკლოპედიის - „მედიცინის კანონის“ (القانون في الطب) მეოთხე და მეხუთე ტომს (الفن). მეოთხე ტომის ტექსტი მოთავსებულია ხელნაწერის 1v-126r ფურცლებზე, იგი შედგება შვიდი ნაწილისგან (المقالة); ამ ტომში აღწერილია ცალკეულ დაავადებათა სიმპტომები და მკურნალობის მეთოდები; ბოლო მეშვიდე ნაწილი შეიცავს კოსმეტოლოგიური შინაარსის ცნობებს. ხელნაწერის 127-160v ფურცლებზე მოთავსებულია მეხუთე

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, (K კოლექცია), შეადგინეს ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა გ. წერეთლის წინასიტყვაობით, თბ. 1969, გვ. 8.

ტომის (الفن) ტექსტი რთული შედგენილობის წამლების აღწერილობით, რომელსაც ეწოდება კარაბადინი. ბოლონაკლულ ხელნაწერს აკლია მეხუთე ტომის (الفن) ტექსტის მეორე ნახევარი. იბნ სინას „მედიცინის კანონის“ (القانون فى الطب) კრიტიკული ტექსტის გამოცემის შემთხვევაში, სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს თბილისური ნუსხის (ArK-9) მონაცემები.

ავიცენას უსაჩინოესი თხზულებაა „სამკურნალო მეცნიერებათა კანონი“. ამ ნაშრომში ავიცენა გვევლინება ღრმა ერუდიციისა და ორიგინალური აზროვნების მქონე მეცნიერად. მედიცინის ისტორიკოსმა **ნანი ხელაიამ** წყაროებზე დაყრდნობით გამოავლინა, რომ ავიცენას სახელი ქართულ სამედიცინო ძეგლებში პირველად გვხვდება XIII საუკუნეში ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲში“, რომელიც შეიქმნა თამარ მეფის ბრძანებით. ძველი ქართული კლასიკური მედიცინის წარმომადგენლები, ისევე როგორც ავიცენა, იცავდნენ ანტიკურ ხანაში შექმნილ ჰუმორული პათოლოგიების თეორიას, რომლის საფუძველზეც ხასიათდება პაციენტის ტემპერამენტი (სანგვინიკური, ქოლერიკული, მელანქოლიკური, ფლეგმატიკური) და კონსტიტუცია გარკვეული – მშრალი, ცივი, სველი, ცხელი – თვისებებითურთ (Хелая 2023:22-23). ქართველი მკვლევარი განიხილავს ასევე მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის მედიკამენტებსა და პროდუქტებს, რომლებსაც არჩევს პრინციპით – საპირისპირო კურნავს საპირისპიროს. ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში იგი მოხსენიებულია არა ლათინიზებული, არამედ აღმოსავლური – იბნ სინა –ფორმით: ‘სინა აქიმი’, ‘სინა ექიმი’, ‘სინაისძე’, ‘იბნ სინა’, ‘სინაი’.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში აბუ ალი იბნ სინას მრავალმხრივი შემოქმედება ჯეროვნად იქნა წარმოჩენილი.

გამოყენებული ლიტერატურა – References:

გულისაშვილი, ბორისი. *იბნ-სინა და სუფთა წყობის შექმნა.* თბილისი, 1964.

Ахведиани, Владимир Григорьевич.*Фонетический трактат Авиценны (Абу Али ибн Сина). Текст, перевод, исследование.* Тбилиси: Мецниереба, 1966.

Ахведиани, Владимир Григорьевич. ‘Лингвистическое наследие Ибн Сины’. *Юбилейный сборник, посвящённый 1000-летию Ибн Сины.* Ташкент, 1981.

Ахведиани, *Владимир* Григорьевич. ‘*Фонетический трактат* Ибн Сины’. В сб. *1000-летие Ибн Сины.* Ленинград,1982.

Джибладзе, Георгий Николаевич. *Системы Авиценны*. Тбилиси : Мецниереба,1986.

Самкурашвили, Лиана *Васильевна.* “Об одной тбилисской рукописи Ибн Сины - **القانون فى الطب**”. Известия Академии наук Таджикской ССР, Отделение биологических наук (*Посвящается 1000-летию со дня рождения Абуали ибн Сины*). *июль-сентябрь*. 3(80). Душанбе, 1980.

Хелая, Нани Алекоевна. ‘Абу Али ибн Сина и традиционная медицина Грузии'. *Тезисы докладов международной научной конференции “Общечеловеческое значение наследия великого восточного мыслителя и врача Абу Али ибн Сины”.* Ашхабад**:** Ылым, 2023.